# ჩანგი

№ 25

შაბათი,

1 აგვისტო

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გასამრჯელოს შესახებ საჭიროა წინადწინ მოლაპარაკება. წერილები პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**


კვირას, 2 აგვისტოს სრულდება ნახევარი წელიწადი, რაც ვერაგულათ მოკლულ იქმნა ძვირფასი მეუღლე

## სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე

აუწყებს რა ამას განსვენებულის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ქვრივი დადუ ბესარიონის ასული შვილებითურთ, თხოვს განსვენებულის ხსოვნის პატივისცემის მსურველთ მობრძანდენ დიდუბის ღვთისმშობლის ეკკლესიაში პანაშვიდზე, რომელიც დაიწყება ნაშვადღევის 1 საათზე.


**გაიხსნა ახალი**
**თფილისის**

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 696).

**ექ. ი. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ბ. ა. ი პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე,

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ,

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა $2—2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—26

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## აბასთუმანში

კბილის ექიმი

**✦ სამსონ ვაშაყმაძე ✦**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

## დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება ყოველ **დღე.**

**ქუთაისში**

## გაზ. „პარსკვლავი“

**10 აგვისტოდან** გამოვა გადიდებული ფორმატით ორშაბათობით. მხოლოდ **1 სექტემბრიდან** კვირაში ორჯელ—ოთხშაბათს და კვირას. მიიღება განცხადებები და ხელის მოწერა. წლიური და თვიური ფასი იგივე იქნება, მხოლოდ ცალკე №-რი 5 კაპ. (2—2)


### თფილისი, 1 აგვისტო

ერობის კომპეტენციის საკითხი, როგორც ვთქვით, ერთი უმთავრესი საკითხთაგანია. საქმრისი არაა ერობა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან გაანთავისუფლო და კანონის ფარგალში მოამწყვდიო. საჭიროა თვით ეს ფარგლები ფართო იყოს, რომ ადგილობრივ ძალებს შეეძლოს ადგილობრივი ინტერესების სავსებით დაკმაყოფილება. „დროება“ ამბობს და პირველი სექციის უმეტესობაც იმ აზრის იყო, რომ 1864 წლის და 1890 წლის ერობათა კომპეტენცია თითქმის ერთი და იგივეაო. „დროება“ ზედმეტათ მხოლოდ ირრიგაციის, მორწყვის საკითხის ერობის ხელში გადაცემა სთხოულობს; სხვა მხრივ მას არსებული კომპეტენცია ყოველ მხრივ აკმაყოფილებს. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოთ მაინც, იგი მეტს არ ეძებს ძრ ვიცით, რა მოსაზრებით აკვეცს ერობას უფლებებს „დროება“. იქნებ ისიც „რეალურ“ პოლიტიკის ტაქტიკამ გაიტაცა!

წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია მისი ასეთი საქციელი. ერობის კომპეტენცია, როგორც მას დაწვრილებითა აქვს ჩამოთვლილი, სრულიათ არ შეიცავს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა ადგილობრივი სასამართლოს, პოლიციის და სწავლა-განათლების მოწყობის საქმე. ყველა ესენი კი დემოკრატიულ ერობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენ. და ამასთანავე, ერობის მსხვილ ერთეულებს უნდა გადაეცეს ადგილობრივი ადგილ-მამულის საკითხიც, მისი მოწესრიგება და სხვ. ყველა ამის გარეშე მისი მოქმედება მეტათ ვიწრო ფარგლებში იქნება მომწყვდეული და ნაყოფსაც ნაკლებს გამოიღებს. 64 წლის საერობო დებულებით ერობას მომრიგებელ მოსამართლის არჩევის უფლება მაინც ქონდა. 90 წლის ერობას კი ეს უფლებაც ჩამორთმეული აქვს. „დროება“ ამ განსხვავებას „თითქმის არაფერს“ უწოდებს. ნამდვილათ კი, ეს მეტათ მნიშვნელოვანია. სამართლის დაახლოვება ხალხთან და მის ენაზე მისი წარმოება, მხოლოდ ამ მხრით არის შესაძლებელი. სასკოლო საქმეშიაც ერობის ფართე კომპეტენციას შეუძლია უფრო შეუფარდოს სკოლის საქმე ადგილობრივ მოთხოვნილებებს,—სახელმწიფომ აქ, ჩვენის აზრით, მხოლოდ უნდა მოითხოვოს სახელმწიფო ენის, ამ შემთხვევაში რუსულის, ცოდნის უზრუნველყოფა, დანარჩენში კი, სწავლების საქმის მოწყობა ადგილობრივ ენაზე თვითმართველობას უნდა მიენიჭოს.

ადგილ-მამულის საკითხთა მის ხელში გადაცემასაც არა მცირედი მნიშვნელობა ექნება თუნდაც გადასახლების საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც დღეს ეროვნულ უკმაყოფილების ერთ მთავარ საგანს შეადგენს. ამ კითხვის ადგილობრივ ერობის ხელში გადაცემა, ამნაირათ, ერთიანათ მოუღებდა ბოლოს იმ გამარუსებელ პოლიტიკას, რომელსაც დღემდე აწარმოებდა რუსეთის ბიუროკრატია. გვეტყვიან: ეს კარგი, მარა განა ამას მოგვცემენო? სხვას კი რამეს მოგვცემენ, თუ ძალა არ დაინახეს? ვუპასუხებთ ჩვენ კითხვითვე. ვინ არ იცის, რომ ერობის საკითხის წამოყენება შედეგია იმ მოძრაობის, რომელშიაც ასე მძლავრათ ჩაება კავკასიის ერები, შედეგია იმ მოზღვავებული უკმაყოფილების გადმოხეთქის, რომელიც ბიუროკრატიულმა მართველობამ გამოიწვია. ცხადია, ამის განხორციელება ბიუროკრატიას კი არ სურს, არამედ ძალა ასურვებინებს და თუ ეს ძალა იქნება, ზედმეტიც განხორციელდება.

მარა ესეც არ იყოს, თათბირისაგან მოითხოვენ არა იმის განსაზღვრას, თუ რამდენის მოცემა შეუძლია დღევანდელ მთავრობას, არამედ, ადგილობრივ საჭიროებათა აღნუსხვას ერობის საკითხში. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ამ უფლებით და ამ საჭიროების გამომხატველი კანონის პროექტი მივაწოდოთ მთავრობას. განგებ შეზღუდვა თავის მოთხოვნის, მეტს მაინც არ მოგვცემენო და შემდეგ დამუქრება, თუ რუსეთში მეტი იქნეს, ჩვენც გვიბოძეთო, როგორც ამას ზოგიერთები ამბობენ, ეს სრული უაზრობაა, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ „რეალურ“ პოლიტიკანობიას თამაშობთ და თან მთავრობას ეუბნებით, ჩვენ აბა მეტს ვერ გაგიბედავთ, არ ვიცით, მეტი რა გვერგება, მარა თუ მეტი დაარიგო სხვაგან, ჩვენც გვიბოძეთო. ასეთი მთხოვნელი ვერაფერს მიიღებს და მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ მან არ იცის, რა ითხოვოს, ვერ ატყობს, რა ესაჭიროება მას და რა არა. მართალია, მთავრობა დიდ გულუხვობას არც შიდა გუბერნიებში გამოიჩენს, და ჩვენ მოთათბირეთ თუ გონიათ, რომ ისინი ამაზე ნაკლებს მოითხოვენ, ამით მხოლოთ იმას ამკიცებენ, რომ ისინი ბიუროკრატიაზე უფრო დაბლა დგებიან ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. სამწუხაროა, მარა რას იზამ. სადა ხალხის ხმა არ ისმის, სადა მას კარი დახშული აქვს და მოთათბირეები ზევიდან არიან მოწვეული, ისინი მას უნდა შესჩერებოდენ, მისგან უნდა ელოდენ დირექტივებს, მარა მათ ნუ ავიწყდებათ, რომ ეს თათბირიც კი ქვეიდან ძალების მოძრაობის ნიადაგზეა აღმოცენებული და ამ ნიადაგიდან გადასვლა, ხალხის ინტერესების მაგიერ კანცელიარიათა მოსაზრებების დადება თავის მოქმედების საფუძვლათ, ცხოვრების საჭიროებათა აღნუსხვის მაგიერ, „რას მოგვცემენო,“ იმაზე ფიქრი, ეს თვით საქმის დასამარებაა, რადგან სრულ მათ უნიადაგობას და უძლურებას აშკარავებს.

ერობის პროექტის შედგენა ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით, აი, რა უნდა დაედვას საფუძვლათ თათბირის მუშაობას, მხოლოდ ამით შეიძლება ხალხის თანაგრძნობის მოპოვება, მხოლოდ ეს იქნება თავისი მოვალეობის შესრულება მის წინაშე და არა მთავრობის თვალში ყურება. ეს იქნება საუკეთესო პასუხიც მთავრობისათვის ადგილობრივ ერობის შესახებ, პასუხი მართლა დასაბუთებული და მოფიქრებული.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ივლისი.

### ოსმალეთი.

**ვენა.** „კორ. ბიურ.“ დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან: მინისტრთა საბჭომ განიხილა საბერძნეთის ნოტა და გადასწყვიტა არ გაიწვიონ ათონიდან ოსმალეთის ელჩი, გაუგზავნოს საბერძნეთის მთავრობას დღეს ნოტა, რომლითაც მოითხოვენ შემდეგ განმარტებას.

**სტამბოლი** საგარეო საქმეთა მინისტრმა და დიდმა ვეზირმა შეიმუშავეს ახალი განცხადება საბერძნეთის მთავრობისადმი. პორტა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საბერძნეთს ანექსიის განზრახვა არა აქვს, მაგრამ ამავე დროს გადაჭრით ბრალს სდებს საბერძნეთის საელჩოს მთავრობას და აფიცრებს ოსმალეთის საზღვრებში პროპაგანდის გაწევაში და მოითხოვს საბერძნეთის მთავრობისაგან შემდეგში ეს აღარ განმეორდეს: ანტი-ანექსიური მიტინგები გრძელდება. 28 ივლისს ადრიანოპოლში მოხდა მიტინგი, რომლის თანახმათ, უკეთუ კრიტოსის ანექსია მოხდა, პასუხს მფარველი სახელმწიფოები აგებენ. მრავალ ქალაქებში საბერძნეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.

### საზღვარ-გარეთ

**გარიენბადი.** მეფე ედუარდმა იმპერატორ ფრანც-იოსებისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „მარიენბადში თქვენი მოსვლის გამო მოგესალმებით და გისურვებთ ჩქარა განკურნებას“. მეფე ედუარდმა დეპეშითვე უპასუხა: „დიდათ გმადლობთ. დიდათ გახარებული ვარ, რომ ისევ შენს მშვენიერ ქვეყანაში მოვედი“.

**კელნი.** „კელნიშე“ სწერს: „ჯერ გერმანია არ მიუწვევიათ მიიღოს მონაწილეობა კრიტოსის შესახებ საკითხის საქმეში. მართალია, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი უარს იტყოდა მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ ამავე დროს ის ხელს არ შეუშლიდა კითხვის საკეთილოდ გადაჭრას.

**ბერლინი.** სამხედრო მინისტრათ დაინიშნა გენერალი ფონ გერინგენი.

**სტოკჰოლმი.** ტრამვაის მოძრაობა თანდათან აღდგენილ იქნა: ბირჟა და ბანკები თავიდანვე წესიერათ მოქმედებენ. ბირჟაზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა გაფიცვამ.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის არჩევნები მოხდება 21 სექტემბერს, მოსკოვსა და ოდესაში 27 სექტემბერს.

**ტროიცკოსლავი.** გაძარცვეს სოზორო. გაიტაცეს 40,000 მანათი.

**ნოვგოროდი.** 30 ივლისს სად. ჩუდოვოზე დაიწვა გადასაგზავნი ციხე და ბოქაულის კანცელიარია მთელი საქმეებით. ცეცხლი მახლობელ სახლიდან გადავიდა.

**განჯა.** შუშაში, ბულვარზე უცნობებმა დასჭრეს ქალაქის თავი ქალანთაროვი და მისი ცოლი, მოკლეს მისი გერი. მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდა. ეჭვით ექვსი კაცი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** დღეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს აგარაკ ალექსანდრიაში გადაიხადეს სადღესასწაულო პარაკლისი, რომელსაც დაესწრენ მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა და სხვები.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 32, მოკვდა 10, ავათ არის 414.

**იაროსლავლი.** ავათ გახდა 2.

**რიბინსკი.** ავათ გახდა 6, მოკვდა 2.

**არხანგელსკი.** ავათ გახდა 1, მაზრაში ავათ გახდა 5, მოკვდა 5, ხოლმოგორის მაზრაში ავათ გახდა 3, მოკვდა 2.

**პერმი.** ავათ გახდა 2, მოკვდა 1.

## უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ოსმალეთი უკვე საომრათ ემზადება.** თესალიაში ჯარი საომარ ფეხზე დადგა. საბერძნეთის საზღვრებზე ახალი რაზმები გაგზავნეს. ხილმი ფაშამ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ოსმალეთი ვერ დაკმაყოფილდა საბერძნეთის ნოტით.

**ფარი-ფაშას განცხადება.** მინისტრის ვალიმ ფარი-ფაშამ განაცხადა, რომ თუ საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, ის მზათ არის მიბაძოს შევკეთ ფაშას და თესალიაზე გასალაშქრებლათ ჯარს გაუძღვეს.

**შინაგან საქმეთა მანასტირის გადადგომა.** შინაგან საქმეთა მინისტრ ფერეიდფაშას გადადგომა მისი პროგრამის წინააღმდეგ, საპარლამენტო კომისიის დაბრუნებამდე მოხდა, რადგან ფერეიდ ფაშას არ სურდა ამ მოკლე დროის განმავლობაშიაც დამორჩილებოდა ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მოთხოვნილებას.

**მღელვარება საბერძნეთში.** ამ დღეებში ათინაში გარნიზონის ყველა აფიცრები შეიკრიბენ სათათბიროთ საქმის მდგომარეობის შესახებ. პოლიციამ მოინდომა მიტინგის დაშლა, მაგრამ ამაოთ. აფიცრებმა განაცხადეს, რომ ისინი არავის ნებას არ მისცემენ მიიღონ მათ წინააღმდეგ რაიმე ზომები. შემდეგ შეიმუშავეს მეფისადმი მოხსენების ტექსტი, სადაც აღნიშნავენ რა ბოროტ-მოქმედება ხდება ჯარსა და ფლოტში და მოითხოვენ არმიის რეორგანიზაციას.

### სპარსეთი

**არჩევნები მეჯლისში.** მეჯლისის არჩევნები კარგათ მიდის. კანდიდატებათ დასახელებული არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

**რუსეთის ჯარი თეირანს მიუახლოვდა.** ყაზვინში მყოფი რუსეთის ჯარი თორმეტ ვერსზე მიუახლოვდა თეირანს.

თეირანის დროებით ენჯუმენმა ამის შესახებს საპროტესტო დეპეშები მიიღო რეშტის, ყაზვინის და ენზელის ენჯუმენებისაგან.

რუსეთის ჯარის ყაზვინიდან გასვლა გამოიწვია შიგ ბანაკში სახადის გაჩენამ.

ამ განმარტებით სპარსეთის პოლიტიკური წრეები ვერ კმაყოფილდება.

—განა არ შეიძლებოდა ყაზვინის მეორე მხარეს გადასულიყო ჯარი და თეირანს არ მოახლოვებოდა?—ამბობენ ისინი.

**ზილლი სალთანეს შუამდგომლობა.** რეშტის კომიტეტს გადაწყვეტილი ქონდა ამ დღეებში დაჭერილი ზილლი-სალთანე გაეგზავნა ახმედ-აბადში, სადაც აუტანელი ჰავაა.

ამიტომ ზილლი-სალთანემ მიმართა თეირანში თავის მეგობარ ფოსტის მინისტრ მანსურს და სთხოვა ეშუამდგომლა, მიეცათ მისთვის თეირანში, ისპაჰანის მის მამულში ცხოვრების ნება.

„მე თანახმა ვარ ტყვეთ ვიყო თეირანში—ამბობს ის დეპეშაში—ოღონდ სამშობლოში ვიცხოვრო. ძნელია მოხუცისთვის ევროპაში ცხოვრება, მაგრამ ახმედ-აბადში ცხოვრებას მაინც სჯობს“.

თეირანიდან გაგზავნეს მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს გაგზავნოს ზილლი სალთანე ან საზღვარ გარეთ, ან ახმედ-აბადში.

**ტაგი-ზადეს დაბრუნება.** თავისუფლებისათვის მებრძოლი, ყოფილი მეჯლისის წევრი ტაგი-ზადე თეირანში დაბრუნდა. ხალხი დიდის პატივით მიეგება.

### რუსეთი

**სინოდის გადაწყვეტილება.** „ზემშჩინას“ სიტყვით უწმინდეს სინოდს გადაუწყვეტია მოსპოს გამოძიება ქართველ მღვდლების შესახებ, რომლებიც პასუხისგებაში იყვენ მიცემულნი ექსარხოსის ნიკონის მოკვლის საქმის გამო.

**ვადამდე განთავისუფლება.** პირველათ სცადეს კანონი ვადამდე განთავისუფლების შესახებ. 29 ივლისს პეტერბურგში ამ კანონას ძალით ვადამდე გაანთავისუფლეს 17 ტუსაღი.

**ინგლისის დეპუტატების მოსვლა რუსეთში.** როგორც გაუგიათ, ინგლისის დეპუტატები ამ წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში მოვლენ რუსეთში. დეპუტაცია 50 კაცისაგან შესდგება. რუსეთში დარჩებიან 12 დღეს. ნახვენ პეტერბურგს და მოსკოვს.

**საზღვარ-გარეთ.**

**ელზასის ს.-დემოკრატების სიეზდი.** კოლმარში (ელზას-ლოტარინგია) მოხდა ადგილობრივ ს.-დემოკრატების სიეზდი. წლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამრეწველო კრიზისმა გამოიწვია ადგილობრივ ორგანიზაციათა დაცემა.

უკანასკნელმა არჩევნებმა ადგილობრივ თვითმართველობაში ს.-დემოკრატებისთვის არა სასურველი ხასიათი მიიღეს. ამის გამო დაადგინეს მეტი ყურადღო მიაქციონ ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით ადგილობრივ ორგანიზაციებში მუშაობას.

**ს.-დემოკრატების გამარჯვება გერმანიაში.** ნეიშტად-ლანდაუს ოლქში ხელმეორეთ კენჭის ყრის დროს გამარჯვება ს.-დემოკრატებს დარჩათ. გაზეთები ამ გამარჯვებას სიმპტომატიურ ხასიათს აძლევენ. მთავრობის მარჯვნით გადახრამ ამრჩევლები მარცხნით გადახარა.

ხელმეორეთ კენჭი იყარეს ს.-დემოკრატებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა, ეს ოლქი ნაციონალ-ლიბერალებს ეკუთვნოდა 40 წელიწადი. საზოგადო არჩევნებზე 1907 წელს ნაც. ლიბ. კანდიდატმა მიიღო 14 ათასი ხმა, ცენტრმა—8 ათასი და ს.-დემოკრატებმა—6 ათასი. პირველ კენჭის ყრაზე ნაც. ლიბ. მიიღეს 8,300, ცენტრმა—7,100. ხელმეორეთ კენჭის ყრაზე—ს.-დემოკრატებმა—12,700 და ნაც. ლიბერალებმა—1000-ით მეტი წინანდელზე.

ზომიერი ლიბერალური პრესა უსაყვედურებს ცენტრს, რომ მისი წყალობით გაიმარჯვეს ს.-დემოკრატებმა, რადგან მათ მეორეთ კენჭის ყრის დროს ნაც. ლიბერალებს ს.-დემოკრატები ამჯობინეს და მათ მისცეს ხმა.

**საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.** „სტოლ. მოლვას" სიტყვით არც საკონსულოში და არც საელჩოში არაფერი ახალი ცნობა არ არის გაფიცვის მსვლელობის შესახებ, იმის მეტი, რაც უკვე ნაცნობებია დეპეშათა საგენტოს მიერ.

აღნიშნულ გაზეთის კორესპონდენტს უკითხავს ერთ გამოჩენილ რუს დიპლომატისთვის შვეციის გაფიცვის მიზეზი. დიპლომატს უპასუხნია:

— მიზეზი წმინდა ეკონომიური ხასიათისაა—სამუშაო საათების სიდიდე, რომელიც უკანასკნელათ ყველა ფაბრიკაქარხნებში აწეულია. არავითარი პოლიტიკური ხასიათი გაფიცვას არ აქვს. შვეციის მთავრობამ გადასწყვიტა—არ ჩაერიოს ამ ეკონომიურ კონფლიქტში და დაიჭიროს პასიური პოლიტიკა, სანამ გაფიცვა არ გადავა სახელმწიფო მეურნეობის ისეთ საყურადღებო დარგში, როგორიც არის ფოსტა და რკინის გზა, და ვიდრე ქუჩებში არ მოხდება შეტაკებები.

რამდენათ დიდია მუშათა ორგანიზაციების სალარი და რამდენათ განვითარებულია მუშათა შორის სოლიდარობისა და დისციპლინის გრძნობა, ეს უკვე ჩანს იქიდან, რომ ერთ ნიშნის მიცემისთანავე მთელ მხარეში ერთბაშათ გაიფიცა ნახევარ მილიონი მუშა და მისი რიცხვი ყოველ დღე იზრდება.

# გზა და გზა

(გაკვრით)

ბ. არ. ჯ—შვილს B-ს ვექილობა მოუსურვებია და რადგან კალამი და ქაღალდი ეშოვება, გძელ-გძელ მცირე შენიშვნებს სწერს ჩვენი წერილების გამო. ის თვითონ გამოგვიტყდა, რომ არ იცის, ვინ რა აზრი იყო ბურჟუაზიის შესახებ ჩვენში ამ 15—20 წლის წინეთ, არ იცის, რა აზრის იყვენ თვით ის პირები, რომელთაც შემდეგ „ცნ. ფურცლის" ჯგუფი შეადგინეს, მარა ეს მას არც სჭირდება. ის ახლა ბურჟუაზიას იცავს და ესეც საკმარისია. სამაგიეროთ, ის ჩვენ სხვისი აზრის გადამახინჯებას გვაბრალებს, ბ. B-ს ექომაგება, იგი „მხოლოთ კაპიტალიზმზე და მის მნიშვნელობაზე ელაპარაკებოდა, ბ. რაჟდენიძემ კი დემაგოგიურის (?) მოსაზრებით B-ის ციტატაში ჩააკერა თავისი წინადადება, „ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიაო". („დრ." № 169) მართალია, მე ეს სიტყვები ჩავაკერე და ბრჭყალებში ჩავსვი, როგორც მიღებულია. ახლა კითხვა ისმება ასე: მქონდა ამის უფლება თუ არა? არ. ჯ—შვილი ირწმუნება, არაო და საბუთათ ბ. B-ს ციტატა მოყავს, რომელიც მე მქონდა ამოწერილი: ამაზე აი რა უნდა შევნიშნო: ერთი ის, რომ კაპიტალიზმი საერთოთ და ქართული კაპიტალიზმი ერთი და იგივე ცნება არაა. მეორე პირველისაგან განირჩევა თავისი პატრონით, ესე იგი, ბურჟუაზიით.

მაშასადამე, როცა ქართულ კაპიტალიზმზე ვლაპარაკობთ და უცხო კაპიტალიზმს ვუპირდაპირებთ, ცხადია, აქ ერთმანეთს უპირდაპირდება არა წარმოება, არა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, არამედ სხვადასხვა ერის ბურჟუაზია. სხვანაირათ არც შეიძლება მათი დაპირდაპირება, რადგან კაპიტალიზმის სოციალური შინაარსი ყველგან ერთი და იგივეა. მეორეთ, იმავე ციტატაზე მიყოლებით, რომელიც თქვენ ამოსწერეთ, მოყვანილია მეორე, რომელიც მოწმობს, რომ ბ. B. თანასწორობის ხაზს უსვამს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას შორის. „ქართული კაპიტალიზმი, ქართული ბურჟუაზია, ქართული ფული, ეს დაცინვაა ქართველის და სხვ." ჩვენ ეს ციტატები ერთათ მოვიყვანეთ და აქედან დავასკვნით ბ. B. ქართველ ბურჟუაზიის შესტრფის თქო. არ. ჯ—შვილმა კი ამ ციტატას მოყვანა ჩვენ მიერ დაუმალა თავის მკითხველს. პირველ ციტატაში ნახმარი ქართული კაპიტალი. შემდეგ „მხოლოთ კაპიტალათ",*) აქცია და ასე, გვიკიჟინებს ბ. B-ს აზრს ამახინჯებთო. ისიც კი დაივიწყა, რომ ბ. B. ქართულ კაპიტალიზმის არ ყოლას იმით ასაბუთებს, რომ ვაჭრები და მრეწველები ჩვენში სხვები არიან და არა ქართველებიო, ცხადია, B-ს ისე ესმის, როგორც მე ავღნიშნე.

ამნაირათ, ბ. არ. ჯ—შვილო, აზრი აქ თქვენ დაამახინჯეთ, მე კი სისწორით გადავეცი მკითხველებს და მევე რაღათ მაბრალებთ მის გადამახინჯებას? „გაღმა გაედავე—გამოღმა შეგრჩება"-ო, ალბათ, ასეთია თქვენი მცნება, მარა თქვენდა სამწუხაროთ, არ შეგრჩებათ ასეთი გამოდავება და აღინიშნება, როგორც სიყალბე № 1.

ახლა სიყალბე № 2. ბ. არ. ჯ—შვილი ასე აპირებს წინააღმდეგობაში ჩვენს დაჭერას. თქვენ ამბობთ, რომ ეროვნული მისია პროლეტარიატმა იკისრა, ჩვენი ბურჟუაზია კი ეროვნულ როლში არ გამოდგება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სუსტია და ეროვნულ საქმეებს არ ეტანებაო. აქედან ეს ჭკვიანი ყმაწვილი ასეთ დასკვნას გვიკეთებს, რომ გაძლიერდეს და **მოისურვოს** ეროვნულ საქმეზე ზრუნვა, მაშინ ხომ გამოდგება ბურჟუაზიაცო. თუ ლოღიკა გაქვთ, უნდა დამეთანხმოთ, რომ გამოდგებაო და, „თუ ასეა, აქვს თუ არა ზნეობრივი უფლება ბ. რაჟდენიძეს უკიჟინოს იმას, ვინც ეროვნულ ცხოვრების ასაყვავებლათ იმის გაძლიერებასა და განვითარებას მოისურვებს? რასაკვირველია არაო", იძლევა თვითონვე პასუხს და ჩვენ კი საშინელ წინააღმდეგობის დარჯაგში გვაგდებს. ეჰ! ბ. ჯ—შვილო, თქვენი უბედურება ისაა, რომ კლასის სურვილი თუ არ სურვილი არ. ჯ—შვილის ოცნება არ არის, რომ იფრინოს და მოვიდეს. მეორეც, ჩვენ მარტო ამ საბუთით კი არ უარვყავით ბურჟუაზიის ეროვნული მისია, არამედ იმით, რომ ბურჟუაზიამ საერთოთ დაკარგა პროგრესიული ნიშან-წყალი, გაკონსერვატორდა და ეროვნულ კითხვაშიაც ეს კონსერვატიზმი შეიტანა, ე. ი. ერის განვითარების მაგიერ, მისი შემაჩერებელი და უკან დამხევ ძალათ შეიქნა. და ამის შემდეგ განა შეგვეძლო ჩვენ გვეთქვა ბურჟუაზიაც შეიძლება გამოკეთდეს და ეროვნულ ძალათ გამოდგესთქო, როცა ცხოვრება წინააღმდეგს გვეუბნება? აი მაგ. ჩვენ ვამტკიცებთ. ბ. არ. ჯ—შვილი ულოღიკოა და სხვისი აზრის გადამახინჯება უყვარს-მეთქი ვამტკიცებთ, რომ ეს მისი ორგანიული თვისებაა. რომ ვინმემ გვითხრას, აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ შეიძლება მიატოვოს ულოღიკობა და აზრთა გადამახინჯებაო ვერ დავეთანხმებით, ვიტყვით, რომ ეს ოცნებაა მეთქი და არა ლოღიკური დასკვნა. ასეთია თქვენი პირველი მცირე შენიშვნა. განარძეთ ბატონო, მარა მეტი პატივისცემა კი უნდა გამოიჩინოთ აზრისა და მწერლობისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს არ გაგცემთ, ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავ თქვენ ამ არა კეთილსინდისიერებას.

**რაჟდენიძე.**

*) მეორეგან ბ. არ. ჯ—შვილი სწერს: B-ის ლაპარაკი მხოლოთ ქართულ კაპიტალიზმზე ქონდაო". რომელია არ. ჯ—შვილო მართალი? რომელი იძლევა B-ს აზრს სისწორით? აზრთა წინააღმდეგობა და არევ-დარევა თუ გინდათ ეს არის.

# ახალი ამბები

**საერობო სექციის სხდომა.** ქალაქის გამგეობის დარბაზში გუშინ წინ საღამოს 9 საათზე მოხდა სხდომა საერობო პირველ სექციის წევრთა. თავმჯდომარეობდა გ. მ. თუმანოვი. სხდომაზე განიხილეს საკითხი საერობო დაწესებულებათა მოქმედების ფარგლის შესახებ და იმაზე, თუ რაინაირ დამოკიდებულებაში უნდა იყოს საგუბერნიო ადმინისტრაცია საერობო დაწესებულებებთან. ერობის შესახებ არსებობს ორი დებულება: ერთი 1864 წლისა, ხოლო მეორე 1890-ის. ერობის მომავალ მოქმედებას საფუძვლათ დაედება 90-წლის დებულება 64 წლის დებულებასთან შეთანხმებით შემდეგი დამატებით: საერობო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ უფლებები ადგილობრივი მსაჯულების არჩევისა, სახალხო განათლებაზე და სანოვაგეზე ზრუნვისა, მათვე უნდა ჰქონდეთ წყლის საქმეებში მმართველობის უფლება. საგუბერნიო მთავრობასთან დამოკიდებულებისა და კანტროლის შესახებ სხდომამ საჭიროთ დაინახა, რომ კანტროლი განსაზღვრული იქნეს საგუბერნიო მთავრობის მიერ საერობო დაწესებულებათა მოქმედების კანონის მიხედვით განხილვით. ამასთან, მთავრობის წარმომადგენელთ უფლება არ ექნება არსებითათ საქმის განხილვას ხელი მოჰკიდონ. შეეხნენ აგრეთვე საკითხს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება ექნება ერობის დაწესებულებებს არსებულ საგუბერნიო საერობო საკრებულოსთან. კრების უმეტესობა ამტკიცებს, რომ სასურველია და საჭირო ხსენებული საკრებულო სრულიათ მოისპოს, ხოლო თუ არ მოისპობა იმ შემთხვევაში აქ მოსამსახურე პირნი არ უნდა იყვენ დამოკიდებულნი გუბერნატორისგანო.

დასასრულ კრებამ ამოირჩია ხსენებულ საკითხების დაწვრილებით შესამუშავებლათ მცირე კომისია, რომელშიაც შევიდენ გ. მ. თუმანოვი, გ. მ. ლასხიშვილი, გ. ბ. [illegible], პ. ა. გოთუა [illegible].

**◆ უბნის ზედამხედველის მოკვლა.** 29 ივლისს, საღამოს 9 საათზე, კრწანისის მინდორზე, უდაბურ ადგილას, ქალაქის საზღვრებიდან 1 ვერსის სიშორეზე რამდენიმე ბოროტ-განმზრახველებმა 6 ტყვიით მოჰკლეს მე-6 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი თეოფანე ნოდია. მოკლულის გვამი მიხეილის სავათმყოფოში გაგზავნეს. პოლიცია შეუდგა მკვლელობის მიზეზის გამორკვევას. ეჭვით შეიპყრეს 9 კაცი. ამ შემთხვევის გამო პოლიციამ და ჯარმა ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს მე-5, 6, 7, 9, 10 და 11 საპოლიციო ნაწილებში რამდენიმე უბანი.

**◆ ფეფელოვის მოკვლის გამო.** პოლიციამ ცნობები მიიღო, რომ თფილისელ ვაჭრის ფეფელოვის მოკვლაში, როგორც ფიქრობენ, მონაწილე ჯიბრაილ ბენიამინოვი ან, როგორც ეძახდენ, „ჯიბო", სურამს მახლობლათ ფოსტის გაძარცვის გამზრახველთა შორის დაპატიმრებული აღმოჩნდა. ცნობების გამოსაკვლევათ პოლიციამ თფილისიდან გორში მოხელე გაგზავნა ხსენებულ ბენიამინოვის სურათით. აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებული მართლა ის პირი ყოფილა, რომელსაც პოლიცია დაეძებდა. როდესაც დააპატიმრეს, მან განაცხადა—ოსმალეთის ქვეშევრდომი სემიონ ბენიამინ-ოღლი ვარო, ხოლო თფილისის პოლიციის მოხელეს აუხსნა—სპარსეთის ქვეშევრდომი ჯაბრაილ პავლეს ძე ბენიამინოვიო. შეადგინეს ოქმი, რომელიც სურამის ნაწილის გამომძიებელს გადაეცა.

**◆ წ. კ. ს. გამგეობის წევრთა თათბირი.** გუშინ-წინ საზოგადოების გამგეობას კერძო თათბირი ქონდა ილია ჭავჭავაძის სახლის მუზეუმათ გადაკეთების შესახებ. თათბირში მონაწილეთ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ.

**◆ თავის მოკვლა.** 28 ივლისს მე-16 გრენადერთა მინგრელსკის პოლკის პოდპორუჩიკმა ირდიგისმა რევოლვერით თავი მოიკლა. თავის მოკვლის მიზეზი არ იციან.

**◆ ჩხრეკა და დაპატიმრება.** 29 ივლისს პოლიციელებმა და ჯარის კაცებმა მე-4 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 6 კაცი, 1-ლში 14 და მე-8-ში 28 კაცი. ამათ პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

**◆ დაპატიმრება.** 28 ივლისს მე 11 საპოლიციო ნაწილის პოლიციელებმა დააპატიმრეს ვლადიმერ ანტონოვი, რომელიც ათანასიევის ქუჩაზე ერთ სახლის პატრონს თითქოს მუქარის წერილით ფულსა თხოვდა. მასთან დააპატიმრეს გლოტოვი და გოგინაშვილი.

## მონიზმი ბიოლოგიაში

IV

რომ კაცს, ან ცხოველს შეეძლოს სიცოცხლე, ამისათვის საჭიროა, რომ ისინი სულს ითქვამდენ. კაცი ან ცხოველი ისუნთქავს მჟავბადს, ამოისუნთქავს ნახშირბადის და მჟავბადის სინტეზს (coz). რაღაც ამის მგზავსი ხდება, როცა თესლი ხარობს და ვითარდება, როცა მცენარე ყვავის: მცენარე ამოისუნთქავს ნახშირბადს და მჟავბადს, ამასთანავე, მისი ტემპერატურა მატულობს. თუ ერთი მხრივ, როგორც ვხედავთ, მცენარეთა და ცხოველის სამეფოთა სუნთქვის პროცესებ შორის არის მზგავსება, მეორე მხრივ მათ შორის არის განსხვავებაც. ჩვენ ვიცით, რომ ფოთოლთა მწვანე ნივთიერება—ხლოროფილლი მზის სხივების შემწეობით ენერგიულათ ანცალკევებს და აჰყოფს ნახშირბადის და მჟავბადის შენადგენს (coz). აქ მცენარე ისუნთქავს (coz), აგროვებს ნახშირბადს, რომლიდგანაც შემდეგ მზადდება ორგანიული ნივთიერებანი, ამოისუნთქავს კი მჟავბადს. როცა მცენარის სუნთქვაზე არის ლაპარაკი, საზოგადოთ, ეს მეორე ტიპის სუნთქვა აქვთ მხედველობაში, ეს იმიტომ, რომ იგი გაცილებით უფრო ენერგიულია, ვიდრე უბრალო სუნთქვა.

სუნთქვა მჭიდროთ დაკავშირებულია მოძრაობასთან. თუ ცხოველი ან კაცი სუნთქვის საშვალებას მოკლებულია, მას სიცოცხლე არ შეუძლია. თუ მცენარეს მჟავბადს არ მივცემთ, აქ ყოველივე მოძრაობა ჩერდება: პროტოპლაზმა აღარ მოძრაობს, ბუზის ჭერია ვეღარ იჭერს ბუზს, მიმოზა არ მოძრაობს, როცა მას ვეხებით. ერთი სიტყვით, ცხოველთა და მცენარეთა მოძრაობა დაკავშირებულია მათ სუნთქვაზე. იმას, რაც ვითომ ყოფდა და არჩევდა მცენარეთა ცხოველთა სამეფოებს ერთი-მეორესაგან, მოძრაობას და სუნთქვას ვპოვებთ აქაც და იქაც. აქ არსებობს უფსკრული მათ შორის.

გადავიდეთ მცენარეთა და ცხოველთა კვებაზე. საზოგადოთ მცენარე არა ორგანიული, ცხოველი კი ორგანიული ნივთიერებით იკვებება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, არსებობენ ზოგიერთი ცხოველები, სადაც ჩვენ ვხდებით იმ ხლოროფილს, რომლის შემწეობით არა ორგანიული ნივთიერებიდან ორგანიული ნივთიერება მზადდება. აქ იგივე პროცესია, რომელსაც მცენარეში აქვს ადგილი.

თუ ცხოველი ხანდისხან არა ორგანიული ნივთიერებით იკვებება, არ შეიძლება ვნახოთ ისეთი მცენარე, რომელიც ორგანიული ნივთიერებით იკვებებოდეს? დიახ, შეიძლება. მაგალითად, სოკოთა მთელი კლასი, რომელიც ცხოვრობს, როგორც პარაზიტი, სხვა ორგანიზმებზე, ორგანიული ნივთიერებით იკვებება. ის ბუზის ჭერია (Drozera) მცენარეც, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, იკვებება როგორც ცხოველი: ის იჭერს ბუზს ფოთოლთა ბეწვების შემწეობით და სჭამს მას; თუ ბუზის მაგიერ ხორცს დავდებთ, ფოთოლი აქაც იხურება და იშლება მხოლოდ მაშინ, როცა ხორცი შეჭმული და მონელებული არის. ჩვენ არ შეგვიძლია ვპოვოთ არავითარი ნამდვილი კრიტერიუმი ცხოველთა და მცენარეთა კვების პროცესთა ერთი-მეორესაგან გასარჩევათ.

არც ცხოველთა და მცენარეთა მოძრაობით, არც მათი სუნთქვით და კვებათა ფორმით ჩვენ არ შეგვიძლია მათ შორის რაიმე საზღვარი დავდოთ. შეიძლება ამ საზღვრის შექმნა ცხოველთა გრძნობიერებას (чувствительность) შეუძლია? ცხოველს აქვს გრძნობიერება; მცენარეს აქვს ის? თუ ორგანიზმთა გრძნობიერებას ჩვენ გავიგებთ როგორც მათ აღმძვრელობის (возбуждаемость) ნიჰს, მაშინ გრძნობიერება მცენარესაც აქვს. როცა ჩვენ ცხოველს, ლოკოკინას, რომელსაც თავი გარეთ გამოუყვია, ხელს მოვკიდებთ, ის მაშინვე იხრება და იმალება. თუ ჭიას, რომელიც სწორათ წევს, შუა ადგილას შევეხებით, ის იხრება და თავი კუდთან მოაქვს. ვიცით აგრეთვე, რომ მცენარე ბუზის ჭერიას ბეწვიანი ფოთოლი მოძრაობს, როცა მას ბუზი აჯდება, მიმოზას ფოთოლი იცვლის ფორმას, თუ მას თითს მივადებთ. ამნაირათ, ლოკოკინას ჭიას, ბუზიას ჭერის, მიმოზას, ესე იგი ცხოველს და მცენარეს აქვს გრძნობიერება.

ეგებ შეგნებაც (сознаніе) აქვს მცენარეს? თუ დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველთ, როგორიც არიან, მაგალითათ, ერთ უჯრიანი პროტოზოერნი, აქვთ შეგნება, მაშინ ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს ვსთქვათ, რომ ის არ აქვს მცენარესაც. საზოგადოთ კი მეცნიერება შეგნებას ნერვების ცენტრალურ სისტემას უკავშირებს. თუ ცხოველს აქვს ნერვებთა ცენტრალური სისტემა, ჩვენ ვამბობთ, რომ მას ამა თუ იმ ზომამდე აქვს ფსიხიკა, აქვს შეგნება. მაშ, იმ ცხოველებს, რომლებსაც აკლია ნერვებთა ცენტრალური სისტემა არ აქვს შეგნება? მაგრამ მაშინ როგორ გაჩნდა ეს შეგნება იმ ცხოველებში, რომლებსაც აქვს ნერვებთა ცენტრალური სისტემა და რომელნიც მომდინარეობენ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ და ნერვებთა ცენტრალური სისტემის მოკლებულ ორგანიზმთაგან? არაფრისაგან? ეს ხომ სისულელეა!

ეს კითხვები არ აინტერესებთ ზოგიერთ ეხლანდელ პოზიტივისტებს. ისინი ხედვენ ცხოველთა ნერვების ცენტრალურ სისტემას და მასთან დაკავშირებულ შეგნება-ფსიხიკას; მათ აინტერესებს მხოლოდ კავშირი, კავშირი და პარალლელიზმი ფიზიოლოგიურ და ფსიხიურ პროცესსთა შორის იქ, სადაც ჩვენ არ შეგვიძლია დავამყაროთ რაიმე დამოკიდებულება ფიზიოლოგიურ და ფსიხიურ პროცესსთა შორის, შეგნებაზე ლაპარაკი პოზიტივისტებისათვის ზედმეტია. მაგრამ მონისტიურ მსოფლიო მხედველობისათვის კითხვების ამნაირათ უპასუხოთ მიტოვება შუა გზაზე გაჩერებაა.

მონისტიური მსოფლიო მხედველობა უფრო შორს მიდის და კითხვაზე გიპოტეზით უპასუხებს. ის უთითებს იმ ფაქტზე, რომ მაღალ საფეხურზე მდგომი არსებანი ისტორიული განვითარების შედეგია, რომ ისინი მომდინარეობენ უფრო უბრალო, უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ორგანიზმთაგან; თუ რთულ ორგანიზმში ჩვენ ვხდებით შეგნებას, არა რთულ და უბრალო ორგანიზმში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ის ელემენტები, რომლებიდანაც შესდგება თვით ეს შეგნება. შეგნება ორგანიზმის ორგანიზაციის პროდუქტია, ნაყოფია.

როგორი პასუხიც უნდა მოგვცენ პოზიტივისტებმა, გინდ მონისტებმა შეგნების საკითხზე, ის ფაქტი ფაქტათ რჩება, რომ არსებობენ მცენარენი და ცხოველნი, რომლებსაც არ აქვთ ნერვებთა ცენტრალური სისტემა, რომლებიც შეგნების მხრივ არ განირჩევიან ერთი მეორისაგან. და აქ ჩვენი მიზნისათვის ეს საკმარისია.

ამნაირათ, ვერც მცენარეთა, ვერც ცხოველთა ცხოვრებაში ჩვენ ვერ ვპოვებთ ისეთ განსაკუთრებულ თვისებას, რომლის შემწეობით შეგვეძლოს ეს თუ ის ორგანიზმი ამ თუ იმ სამეფოს მივაწეროთ.

ცხოველთა და მცენარეთა შორის არ არსებობს აბსოლიუტური განსხვავება. მათ შორის არის მზგავსება, მიტომ, რომ აქ არის ნათესაობა. ამ ორ სამეფოთა შორის არსებობს არა მხოლოთ მზგავსება, არა მხოლოდ ნათესაობა, არამედ მათ შორის არის მუდმივი, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება. ცხოველთა სამეფო სცოცხლობს მცენარეთა სამეფოთი; პირველს უმეოროთ არ შეუძლია არსებობა.

ყველამ ვიცით, რომ თუ კაცი ან ცხოველი მშიერია, თუ მათ არ აქვთ საზრდო, ისინი ჯერ ხმებიან ეკარგებათ ძალ-ღონე და ბოლოს კვდებიან. როცა მათ საზრდო საკმარისი აქვთ, მათ

✦ ცნობები აბრეშუმის მოსავლის შესახებ კავკასიაში. გაზეთ „ზაკ."-ის სიტყვით, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ცნობით წლეულს აბრეშუმის მოსავალი კავკასიაში ერთ იყო რიგიანი. საზღვარ-გარეთიდან გრენის მოვიდა 1-ნოემბრიდან თითო დღეგანაღი, რადგან [illegible] შემოდიოდა იყო. ბათუმიდან სულ შემოიტანეს 447,500 ფუთი გრენი, რაც დაახლოვებით 745 ფუთს შეადგენს. აქედან თურქესტანში და სპარსეთისთვის 500 ფუთი გაიგზავნა. კავკასიაში დარჩა 250 ფუთი საზღვარ-გარეთის და 50 ფუთი ადგილობრივი გრენი. საერთოდ, კავკასიის ყველა მეაბრეშუმეებმა 300 ფუთამდე ან 192,000 ფუთი გრენი გამოიყენეს. კავკასიაში გამოუყენებელ გრენიდან დარჩა 285,000 ფუთი პარკი. ქუთაისის გუბერნიიდან [illegible] 21,000 ფუთამდე პარკი.

✦ წვრილი საკრედიტო საზოგადოებანი. ახლო მომავალში თფილისის გუბერნიაში განზრახულია გაიხსნას 10-მდე საკრედიტო საზოგადოება. ძირითადი თანხა ათასი მანეთამდეა. ამ ჟამათ გუბერნიაში 8 ასეთი საზოგადოება არსებობს („თფ. ფ.")

✦ სამღვდელოთ დეპუტ. რედაქციამ მიიღო სამღვდელოთ დეპუტ [illegible] გარდაცვალების [illegible] რულობისაგან.

✦ ხსნა და სხვა ამბები. 29 ივლისს მიხეილის პროსპექტზე, ერთი [illegible]

— ჩვენ ცნობა გვქონდა იმის შესახებ, რომ ვინმე [illegible] მოსახლეს და მათ [illegible] იქავე იასონ კობერიძის მაღაზიაში.

# პროვინციის ქრონიკა

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ცეცხლი. 29 ივლისს, ღამით, სამწვანილოს მახლობლათ გაჩნდა ცეცხლი. როგორც ამბობენ, ცეცხლი კერძო ინტერესით განზრახ გაუჩენიათ ვიღაცებს. დაიწვა ნაწილი რკინეულობის მაღაზიისა. ზარალი ხუთი ათას მანეთამდეა.

საეროზო კომისია. ამას წინათ გუბერნატორმა მოიწვია ქუთაისის, ფოთის და ბათუმის ქალაქის თავები. მათ უნდა აერჩიათ კომისია საეროზო პროექტის შესამუშავებლათ. კომისია კიდევაც აარჩიეს ოთხი პირისაგან: ნ. ნიკოლაძე, ვ. თუმანიშვილი, ქ. გოცირიძე და ე ნაკაშიძე. ამ არჩევნებით ბევრი უკმაყოფილო არის, ვინაიდან საეროზო პროექტის შემუშავება ბევრ ცოდნასა და დროს, მოითხოვს, ოთხი კაცი კი ამას ვერ შესძლებს. ქუთაისის ქალ. თავს წინადადება მიეცა დამსწრეთათვის, რომ საეროზო კომისიაში სხვა მცოდნე პირებიც მოეწვიათ, მაგრამ გუბერნატორს ნება არ დაურთავს.

შუამდგომლობის არ შეწყნარება. როგორც ამას წინათ ვსწერდით, შავი ქვის მრეწველთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ გადასატვირთავ ვაგონებზე მომატებული ბაჟი შემოღებული არ ყოფილიყო. მთავრობას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

შავი ქვის გატანა. ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ ჭიათურის შ. ქვას ისევ გაეხსნა ბაზარი. ჭიათურიდან დღეს დიდძალი შავი ქვა გააქვთ საზღვარ-გარეთ.

უბედური შემთხვევა. ფერმის ქუჩაზე სახლის შენების დროს მესამე სართულიდან გადმოვარდა ორი მუშა. ორივე მძიმეთ დაშავდენ. დაშავებულნი ბოკერიას სავადმყოფოში გაგზავნეს. ერთი მათგანი, ბერეკაშვილი, მალე გარდაიცვალა. მეორეც მძიმეთ არის ავათ... საჭიროა ბ-ნმა რეხვიაშვილმა (სახლის პატრონია) ახლა მაინც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას და ფული არ დაიშუროს რიგიანი ხარაჩოს გასამართავათ, თორემ ასეთი „წვრილი" დრამები კიდევ განმეორდება.

იჯარით გაცემა. ტყიბულის ქვ.-ნახშირი მომავალი შემოდგომიდან 36 წლის ვადით იჯარით გაიცემა.

სასამართლო. ქუთ. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე სენაკის მაზრაში ეკლესიის გაძარცვის შესახებ. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემული იყვნენ: გახოკიძე (სენ. სასულიერო სასწავლებელი აქვს დამთავრებული) 17 წლისა; ქაჯაია (სან. სასწ. მე-2 კლ. მოსწ.) 16 წლისა და კორსავა 18 წლ. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავეთ იცნო და ორს ოთხი წლის კატორღა მიუსაჯა, ხოლო ერთს სამი წლის.

ამინდი. თითქმის ერთი თვე მეტია, რაც იმერეთში წვიმის ცვარი არ გადმოვარდნილა. ნახნავ-ნათესი სიცხემ და აღმოსავლეთის ქარმა ძალიან გააფუჭა. 28 ივლისიდან ტაროსი შეიცვალა, გრილი დღეები დაიჭირა.

## „ჩანგი"-ს კანტორისაგან

**1-ლ აგვისტოდან გაზეთი აღარ გაეგზავნება იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც ხვედრი ფული შემოტანილი არ აქვთ.**

# ქუთაისი

ძნელათ თუ მოიპოვება სადმე ქუთაისის მსგავსი ქალაქი — ყოველ მხრივ შემკული შეწყობილი... მისი ქება მე წინეთაც გამიგონია, მაგრამ ახლა საკუთარის თვალით ვნახე და დავსტკბი. ხოლო ვინაიდან მე ბუნებრივათ ეგოისტი არა ვარ, ამიტომ მინდა ჩემი შთაბეჭდილებანი მკითხველსაც გავუზიარო. ქ. ქუთაისის ავ-კარგიანობას, ჩემის აზრით, ბევრის თქმა შეუძლია ქართველი კაცის გულისთვის. ქუთაისის საზოგადოებრივ—ინტელექტუალური ცხოვრების გაცნობით შეიძლება კაცმა დაახლოვებითი წარმოდგენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის და ხალხის კულტურაზე, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ვინაიდან ქუთაისი ყველაზე უფრო ქართული ქალაქია, ესე იგი, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ქართველებია. ვაჭრობა-მრეწველობაშიაც, თუ კი შეიძლება ქუთაისის მრეწველობაზე ლაპარაკი, ქართველებს საკმაო წილი უდევთ; წარმოიდგინეთ, თვით ჩინოვნიკების უმრავლესობაც კი ქართველებია. მაგალითად, პოლიციაში მათ მეტოქე სხვა ეროვნებიდან ცოტა ყავთ. ამ მხრივ მეორე ასეთი ქალაქი საქართველოში არ მოიპოვება, მარა მარტო ამ მხრივ როდია ღირს-შესანიშნავი ქუთაისი. მის განძს სხვა თვისებები შეადგენენ.

ქალაქის ცხოვრების რომელ მხარესაც უნდა მიაქციოთ ყურადღება: სანიტარულს, გიგიენურს, სოციალ-ეკონომიურს, თუ ინტელექტუალურს—ყოველგან თქვენ განცვიფრდებით ხალხის დაუდევრობით, უკულტურობით, ჩამორჩენით. აქ რომ მოვიდეს ვინმე ევროპიელი, რომელსაც საქართველოზე მრავალი ალმაფრენი აზრები გაუგონია, რომელსაც გაზეთების საშუალებით გაუცვნია ის დიადი თვისი სიფართოვით და სიღრმით მოძრაობა, რომელსაც კავკასიაში სათავეში ედგა ქართველი ხალხი, განცვიფრდება და ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ ასეთი უკულტურო, ჩამორჩენილი ერის უმრავლესობა, არამც თუ მატარებელია დიადი იდეალების, არამედ მებრძოლიც.—ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ქუთაისი პირველივე შეხედვითვე. თვითონ მე პირველათ რომ გავიარე ქუთაისის ქუჩებზე—სრულიად ვერ დავაჯერე ჩემი თავი, რომ „ქალაქში" ვიმყოფებოდი.—ნამეტნავათ დღეს, როდესაც რუსეთს შესევია აზიის საშინელი მტერი (ხოლერა) და თვით ისეთ ქალაქებსაც, როგორც მაგალითად პეტერბურგი (ჩვენ რუსეთი გვაქვს მხედველობაში და პეტერბურგზე შედარებით ვუთითებთ) მუსრს ავლებს მთელი ორი წლის განმავლობაში, პირდაპირ ამაღელვებელია ქალაქის თვითმართველობის გულგრილობა. სახლის ეზოებს ვინ ჩივის, თვით ქუჩები სავსეა ყოველგვარი სიბინძურით, ან კი რა საკვირველია, როცა, ვგონებ, ისინი თავის დღეში არ დაგვილან და არ გასუფთავებულან. გარდა რამოდენიმე ქუჩისა, შუა ქალაქში—სხვები მოუკირწყვლელებია. ქვა, ღრე, მტვერი თითქოს რამეს წაელეკოს—გამვლელ გამომვლელს ფეხში ედება. ზედ დაუმატეთ საქონლის განავალი, რომელიც იქვე ლპება, იშლება და სწამლავს ჰაერს. ორმოცდა ათ გრ. სიცხეში—მერე ბევრგან ტროტუარებიც არ არის და ძალა-უნებურათ შუა ქუჩაში უნდა იარო. ამ გვარათ, სიცხე, სიბინძურე, საშინელი მტვერი—რომ გზას ვერ გააგნებ—აი გარეგანი სახე ქუთაისისა—ერთმა მოქალაქემ ჩემს შეკითხვაზე ქუჩების მორწყვის შესახებ ირონიულათ მიპასუხა: „ბუნება და ქალაქის მამები ერთმანერთს შესჯიბრებიან—არა შენ მორწყე არა შენო. ბუნება ულმობელია, სასტიკია. რამოდენიმე თვეა, ცვარი წვიმა არ მისცა მთელ გუბერნიას და ყველაფერი ამოხმა. თვითმართველობაც ჰბაძავს სისასტიკეში და ხასიათის სიმტკიცეს იჩენს—ქუჩების მორწყვაზე არ ზრუნავს. საკვირველია, ნუ თუ იმდენათ ღარიბია, იმდენათ უსაღსრო თვითმართველობა, რომ ვერ მოახერხა ქალაქის დასუფთავება და ქუჩების მორწყვა? ჩვენმა ხალხმა ისედაც ბევრი უბედურება გამოიარა. ისედაც ბევრი მსხვერპლი შესწირა და რაღა საჭიროა ხელის შეწყობა ისეთი პირობებისთვის, რომელიც აშკარათ ავნებს ჯანმრთელობას? თქვენ წარმოიდგინეთ, მთელ ქუთაისში ძნელათ ნახავთ გიგიენურათ მოწყობილ ფეხის ალაგს სახლებში, მომეტემულ შემთხვევაში ნახავთ ორმოს, რომელსაც, რამოდენიმე ფიცარი აქვს დაფარებული და სუნი ამოდის, ვინაიდან არ სუფთავდება. თითქმის კარგათ შეძლებულ ოჯახებშიაც კი, ასეთ სურათს ვხედავდი—რა არის ეს თუ არ დაუდევრობა ან შეუსმენლობა? მთელი ქუთაისის ვაჭრები და ხალხი მომეტებულათ რიონის ნაპირებს ეტანება. ამიტომაა, რომ ახლოს არ გაივლება სუნის გამო და საბანაოთ რომ გინდოდეთ წასვლა, ტანისამოსის გასახდელ ადგილს ვერ ნახავთ—ამასთანავე მთელი ქუთაისი რიონის წყალს ხმარობს, ნეტავ ვინ უნდა მიაქციოს ყველა ამას ყურადღება? ვისი მოვალეობაა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა? რასაკვირველია, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქალაქის სოციალურ-ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური მხარეები სრულიათ მოუწყობელია—ამისთანა პირობებს ყველაზე უფრო მავნე გავლენა აქვთ ქალაქის ღარიბ ნაწილზე, არა მარტო ფიზიკურათ, ჯანმრთელობაზე, ეს ყველასათვის ცხადია, არამედ, ზნეობრივათაც. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ „სიმშვენიერის" გრძნობას მასში საპატიო ადგილი უჭირავს. მართალია, საზოგადოების სხვადასხვა კლასები განირჩევიან ერთმანეთისაგან გემოვნებით და ცნება—„მშვენიერი"-ს შინაარსის სხვადასხვაობით, ჩვენთვის ამ ჟამათ საინტერესოა ის, რომ თვით გრძნობა „მშვენიერების" ჩამარხულია ადამიანის ბუნებაში. ამასთანავე, ეს გრძნობა ყველაზე უფრო მოითხოვს ხელოვნურ დაკმაყოფილებას—მთელი კვირის შრომით დაქანცული მუშა, როდესაც გამოდის კვირა-უქმობით დასასვენებლათ, მას სჭირია არა მარტო ფიზიკური დასვენება, არამედ სულიერიც, მას სჭირია სიამოვნება ესტეტიური, ოჯახი ამას ვერ აძლევს მუშას. იგი გარეთ ეძებს ამას. დიდ სიამოვნებას კი მიიღებს მუშა ქალაქ ქუთაისში? აქ არ მოიპოვება არავითარი გასართობი ხალხის ღარიბი ნაწილისათვის, მთელ ქალაქს მოეპოვება ერთი ბაღი, ისიც მოუწყობელი, ულაზათო, მტვრიანი. დარჩა ერთი გასართობი, რომელსაც ხალხი უფრო ეტანება ეს სამიკიტნო—და უნდა მოგახსენოთ—კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას...

საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ ყველგან შებოჭილია და აბა, რა იქნება ქუთაისში. არავითარი სიცოცხლის ნიშანი, როგორც საზოგადოებრივი სხეულის ქუთაისს არ ეტყობა, [illegible] შეკრებილია საკმაო დიდი რიცხვი ინტელიგენციისა, არავითარი საზოგადო საქმე არ კეთდება. ქუთაისის ბაღში, რომ გინდოდეთ, სტუდენტებს მხარს ვერ აუვლით იმდენი არიან, ეს ახალგაზრდანი, სავსენი ღონით და ენერგიით თუ ცოდნით არა. წარმოუდგენელია რომ ვიფიქროთ, ვითომ ყველა მათგანში ჩაჰქრალიყოს ღვთაებრივი ცეცხლი—ეს შეუძლებელია... ბევრია მათგანი, რომელთაც უნდათ შრომა, ხალხის სამსახური, ამისთვის ენერგია მათ შესწევთ—საჭიროა წინამძღოლი, საჭიროა საქმის ორგანიზაცია და, ამ ახალგაზრდა ძალთა ექსპლოატაცია, მაგრამ ვინ ფიქრობს ამაზე. ჩვენი ნაციონალისტები სიტყვით ეროვნულ საქმეს მუდამ მალამოთ ედებიან საქმით? ნეტავ რას აკეთებენ? რაში გამოიხატება ერისადმი სამსახური? დღეს ყველაზე მეტი საშუალება მუშაობისათვის სწორეთ მათ აქვთ. სხვები იმალებიან. ცხოვრების ასპარეზზე ვერ გამოსულან ახდილათ... აი ქუთაისი, ამოდენი ქართველი ინტელიგენცია. საქმე? ნუ თუ არაფრის გაკეთება არ შეიძლება მართლა დღევანდელს პირობებში? სხვები რომ აკეთებენ!

ამ სიტყვების წერაში ისე გავერთე, რომ სრულიათ გადამავიწყდა, თუ მინდოდა რომ გადამეწყვებოდა, რომ ჩვენ ნამდვილი ინტელიგენცია არა ვგყავს, ჩვენ გვყვანან მხოლოთ თითო ოროლა ინტელიგენტები და საკმაო დიპლომიანები—ჩვენი ეროვნების კულტურულათ აღორძინება ჩვენი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებაზე არის დამოკიდებული. ეროვნების მატარებელი ქართველი მუშაა, მას შემდეგ, რაც მას ენა ჩაუწყვიტეს ეროვნული მაჯის ცემაც შესუსტდა. გთხოვთ მკითხველო არ აგერიოს მე ვამბობ „მაჯის ცემა" და არა „მუშტის ცემა".

რაც შეეხება ინტელექტუალურ ცხოვრებას, ამაზე ძნელია რაიმეს გადაწყვეტით თქმა, ვინაიდან ეს პროცესი შეიძლება კედლებს შუა, კაბინეტებში ხდება, მაგრამ მე ამისიც დიდი ეჭვი მაქვს.

რუსეთის რევოლიუციამ სხვა ბევრი ნაკლულოვანებათა შორის ცოდნის უქონლობაც დაგვანახვა, გვაგრძნობინა. რუსეთის ინტელიგენცია დაეწაფა ცოდნას. ჩვენშიც ინტელიგენციის ერთი ნაწილი, უმცირესობა, მომეტებულათ ისინი, რომელთაც ხალხის მოძრაობასთან კავშირი ქონდათ—შეუდგა თვით-განვითარებას. უმეტესობა კი ისევ „ძველებურათ, ჩვენებურათ" ატარებს დროს. მე სხვათა შორის მხედველობაში მყავს ქართველი სტუდენტობის უმრავლესობა, რომლებიც ყველა სხვა ეროვნების სტუდენტობასთან შედარებით უფრო ჩამორჩენილია სერიოზული ცოდნის მხრივ. ქუთაისის ინტელიგენცია, ამ უმრავლესობას უფრო წააგავს. ქუთაისის სამკითხველოწიგნთ-საცავში ძნელათ თუ შეხვდებით ხუთი-ექვსი მოსწავლის მეტს, ჟურნალ-გაზეთები სახლებშიაც ნაკლებათ მოსდით, წიგნების მაღაზიების პატრონები სტირიან წიგნები გვიობდებაო. რამდენათ დიდია სამკითხველოს მოთხოვნილება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ეს ერთათ ერთი სამკითხველო დღეში მხოლოთ ოთხი საათია ღალებული—დილის 10—1 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე. ხოლო კვირაობით, მარტო ორი საათი დილით. საინტერესოა—რათ ეძლევა მკითხველთ ყველაზე უფრო ცოტა დრო კვირაობით, როდესაც მუშებიც თავისუფლებია?

როგორც მოგეხსენებათ, აქ რამდენიმე ხნის წინ გაზეთიც თურმე გამოდიოდა, მაგრამ დახურულა. ზოგნი ამბობენ—უფრო დიდი ფორმატის უნდა გამოვიდეს, იმიტომ დაიხურაო, ზოგნი კი—ქუთაისში ვერ იპოვეს ისეთი კაცი, რომ გაზეთს გაძღოლოდაო—მოზარდ თაობას უნდოდა თურმე თავისი ლიტერატურული ნიჭი ეცადნა, მაგრამ ჩაჰქრილა.

ასე, სიტყვა გაგვიგრძელდა. როგორც ხედავთ, უფერულია მკითხველო ჩვენი ქალაქის ცხოვრება—ხანდახან რომ ჩავუფიქრდები, გულზე რაღაც სევდა გაწვება და მზათ ხარ ჩაცკის სიტყვები წამოიძახო: „კარეტუ მნე, კარეტუ!", მაგრამ რას იზამ, რომ კვირაში ორჯერ უნდა გამოცხადდე პოლიციაში?..

**მოხუცი**

ძალ-ღონეც ემატება; საზრდო მათ ამაგრებს. რამდენათ ორგანიზმი მეტს მუშაობს, მეტს შრომობს, იმდენათ ის მეტ ენერგიას—ღონეს ჰკარგავს, მით მეტი უნდა მას ჭამა, სმა, რომ ეს დაკარგული ენერგია ხელ-ახლა აღადგინოს. საზრდო ენერგიის, ძალ-ღონის წყაროა.

რას სჭამს ცხოველი? უმეტეს ნაწილათ მცენარეულობას, უფრო ნაკლებათ ხორცეულობას. რას სჭამს ადამიანი? ხორცეულობას და მცენარეულობას. თვით ხორცეულობა კი ცხოველთა ორგანიზმისაგან შემუშავებული მცენარეულობაა. ასე რომ, ცხოველი თუ ადამიანი, პირდაპირ ან არა პირდაპირ მცენარეულობით იკვებება; მათ საზრდოს მცენარეულობა შეადგენს. საზრდო ენერგიის წყაროა. მაშ, ცხოველთა ენერგიის წყარო მცენარეულობაა: ცხოველი დამოკიდებულია მცენარისაგან. მცენარე აგროვებს და ინახავს ენერგიას, ცხოველი კი მას ხარჯავს. ცხოველთა ორგანიზმში თავის თავათ არაფერი არ ჩნდება, აქ მხოლოდ ფორმას იცვლის ის, რაც გარედან მოტანილია, აქ მხოლოდ ენერგიის და მატერიის ტრანსფორმაცია, გადაქმნა ხდება.

ფიზიკა გვასწავლის, რომ მექანიკური ენერგია სიმხურვალეთ იქცევა, სიმხურვალე კი ენერგიას—მოძრაობას იწვევს. როცა ჩვენ ორ მაგარ სხეულთ ერთი მეორეზე ვხეხავთ, აქ სიმხურვალე ჩნდება. ხშირათ, როცა მაგრათ დატვირთული ურემი მიდის, მის ღერძს ხეხვისაგან ცეცხლი უჩნდება. თუ ყინვის ორ ნატეხს ერთი მეორეს წავუსვამთ, ის დნება, მიუხედავათ იმისა, რომ ატმოსფერო, სადაც ეს მუშაობა ხდება, 0-ზე უფრო დაბალია; ეს ხდება მიტომ, რომ აქაც, ყინვათა ხეხვისაგან სიმხურვალე ჩნდება. თვით სიმხურვალე კი იწვევს მექანიკურ მუშაობას. მაგალითად, სხვადასხვა მაშინებთა მოძრაობა ხშირათ სიმხურვალისაგან არის გამოწვეული.

სითბო-სიმხურვალეს იწვევს აგრეთვე ქიმიური რეაქცია: ორთქლმავალში იწვის ნახშირი (ქიმიური რეაქციაა), აქედან ჩნდება სიმხურვალე, რომელიც წყლიდან ჰქმნის ორთქლს, ამ უკანასკნელს კი მანქანა მოძრაობაში მოყავს. ქიმური რეაქცია ჰქმნის სიმხურვალეს, სიმხურვალე კი მექანიკურ ენერგიას.

როგორც ვხედავთ, თავის თავათ ბუნებაში არაფერი არ ჩნდება. ყოველივე მოვლენა მომდინარეობს სხვა, მასზე უწინ მყოფ მოვლენისაგან და თვით იწვევს ახალ მოვლენებს. ბუნებაში არაფერი არ იქმნება, არაფერი არ ისპობა. ასეთია ბუნების უნივერსალური კანონი; ეს ენერგიის და მატერიის შენახვის კანონია. ამ უნივერსალურ კანონს ემორჩილება ცხოვრების ყველა მოვლენებიც.

რა არის ორგანიზმი?

ეს ის არსებაა, სადაც ხდება მატერიის და ენერგიის მუდმივი მოძრაობა და ტრანსფორმაცია. ეს მატერია, ეს ენერგია აქ მოდის გარედან და ამა თუ იმ პროცესსის შემდეგ ხელახლა და სხვა ფორმით ბრუნდება გარეთვე. აქ ასსიმილიცია და დეზასსიმილიაცია ხდება. მატერია, ენერგია ცხოვრების ყველა მოვლენათა წყაროა. ცხოვრების ყველა მოვლენები ექვემდებარებიან მექანიკურ, ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს.

ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ ცხოველი ისუნთქავს მჟავბადს, ამოისუნთქავს ნახშირბადს და მჟავბადს, მცენარე კი მზის სხივების და ხლოროფილის შემწეობით ისუნთქავს ნახშირბადს და მჟავბადს, ამოისუნთქავს კი მჟავბადს. ის, რაც არ უნდა მცენარეს, მიაქვს ცხოველს, ის რაც არ სჭარია ცხოველს მიაქვს მცენარეს. მათ შორის შრომის განაწილება არსებობს: ცხოველი ხმარობს იმ ნივთიერებას და ენერგიას, რომელსაც აგროვებს მცენარე; მცენარე კი საჭირო ენერგიას იღებს მზისაგან. ცხოველი დამოკიდებულია მცენარისაგან, მცენარე კი მზისაგან. მცენარე შუამავალია მზესა და ცხოველთა შორის! აქ ის კოსმიურ როლს თამაშობს. ცხოველთა და მცენარეთა სამეფოებსა შორის არის ნათესაობა და მსგავსება, არის მუდმივი კავშირი და დამოკიდებულება. კავშირი არსებობს არა თუ ამ სამეფოებსა შორის, არამედ ამ უკანასკნელთ მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ მთელ მსოფლიო უნივერსუმთან. ერთი მხრით ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრების მოვლენები ექვემდებარებიან ერთ და იმავე კანონებს. აქ ბიოლოგიური მონიზმია; მეორე მხრივ თვით ბიოლოგიას მისი კანონებით კავშირი აქვს იმავე უნივერსალურ კანონებთან, რომელსაც ექვემდებარებიან საზოგადოთ ბუნების ყველა მოვლენები. აქ უნივერსალური მონიზმია.

ჟენევა, 1909 წ. ქ. გვარჯალაძე.

(შემდეგი იქნება)

# წერილი გურიიდან

19 ივლისს, კვირას, აღმოსავლეთ გურიის ბევრ საზოგადოებებში უნდა შემდგარიყო ყრილობა რეალური გიმნაზიის გახსნის შესახებ. უნდა აერჩიათ გექილები ფულის გასაწერათ და აგრეთვე ფულის ამკრეფნი. ჯერ კიდევ შაბათს ხალხში გავრცელდა არა-სასიამოვნო ხმები. ამბობდენ, გიმნაზიის გახსნას ადმინისტრაცია უარყოფით უყურებს და ოზურგეთში ფულის ამკრეფნიც კი დაუჭერიათო. ამავე დღეს ჩოხატაურის ბოქაულმა დაიბარა ცხრა საზოგადოების რწმუნებულები და გამოუცხადა: „მე მომივიდა მოწერილობა, რომ ყველას, ვინც მთავრობის ნებადაურთველათ ფულს ჰკრეფს, ფული ჩამოვართვა. მოახდინეთ კრებები, დაარწმუნეთ ხალხი, რომ გიმნაზია სასარგებლოა, ამაში მე ხელს არ შეგიშლით, მხოლოდ იცოდეთ, ფულის გამწერნი და მომკრეფნი ადმინისტრაციამ უნდა დაამტკიცოსო“.

ეს საკითხი დღეს გურიაში ყველას აინტერესებს. მეც, როგორც დაინტერესებულმა ბასილეთის საზოგადოებისაკენ გავემგზავრე. გზათ ჯვარცხმის სამმართველოსთან გავჩერდი. აქაც ყრილობაა. შუადღის ოთხი საათია. მამასახლისი ხალხს ეძახის, რწმუნებული აიგანზე ადის და მოხსენებას აკეთებს. ხალხში ჩოჩქოლი ისმის. გაისმის ხმები: „სიჩუმე!“ „არ გვინდა!“ „ჩვენ ვიცით რასაც ილაპარაკებთ, გეყოფათ ჩვენი მოტყუება, „პრიგოვორზე“ ხელის მოწერის დროს დაგვპირდით, რომ თითო კომლს ხუთ-ხუთი მანეთი მოუწევსო და კომლიც 1886 წლის კამერალიურლი აწერილობის თანახმათ უნდა გაენაწილებინა, თქვენ კი 1908 წლის აღწერილობის თანახმათ გაინაწილეთ და ამით საზოგადოებას ზედმეტი გადასახადი უწევსო“.

„რახან ერთხელ მოგვატყუეს, აწეც მოგვატყუებენ, ამიტომ ფულს ნუღარ მივცემთო“.

„არ შეგვწევს, გიმნაზიით მხოლოდ მდიდრები ისარგებლებენ, ჩვენ კი ყველა დარიბები ვართო“.

„ოზურგეთში ადმინისტრაციას ფულის ამკრეფნი დაუჭერია... ის ამ საქმეს არ თანაუგრძნობს. ფული რომ გამოვიღოთ, ტყუილა შეიჭმება და გიმნაზიას არ მოხმარდებაო“.

ამგვარი სიტყვებით აწყვეტინებდენ რწმუნებულს ლაპარაკს...

მდგომარეობა გამწვავდა. ორი-სამი პირი შეეცადა აეხსნა ხალხისთვის რამდენათ საფუძვლს მოკლებულნი არიან ასეთი ჭორები, მაგრამ არა გამოვიდა-რა. გიმნაზიის მოწინააღმდეგეებმა დროებით გაიმარჯვეს. ხალხი დაიშალა.

როგორც ვიცით, ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის აშენების საქმეს სათავეში ჩაუდგა ოზ. ქალაქის თვითმართველობა. მას მაშინვე შეუერთდა ყველა, გარდა 4—5 საზოგადოებისა. უარი სთქვა დახმარებაზე ლანჩხუთმა, ჯვარცხმამ და სხვებმა.

ამიტომ ქალაქის თავმა ბებურიშვილმა თითონ ჩამოიარა ამ საზოგადოებებს და დაითანხმა. მათ განჩინებაში სწერია, რომ ხალხი კისრულობს გამოიღოს ნივთიერი დახმარება, როგორც სასწავლებლის ასაშენებლათ, ისე მის მოსაწყობათ.

პირად ლაპარაკში ჯვარცხმის საზოგადოებას, თანახმათ ყრილობის სურვილისა, ქალაქის თავი დაჰპირებია, რომ ფული მას (ჯვარცხმას) გაეწერება 1886 წლის კამერალიურლი აღწერილობის თანახმათ. ჯვარცხმამაც გაგზავნა რწმუნებულებათ საერთო კრებაზე გ. უდენტი და ს. ჭანიშვილი. მხოლოდ შემდეგ გამორკვეულა, რომ ამგვარათ გაწერილი ფული არ არის საკმარისი და გაეწერეს 1908 წლის კამერალიურლი აღწერილობის თანახმათ.

1886 წლის აღწერილობით საზოგადოებაში ითვლებოდა 319 კომლი გლეხობა; 1908 წლის 460 კომლი; თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება 151 კომლი. ამიტომ საზოგადოებას ჰგონებია, რომ მას გაეწერდენ 2300 მ., მხოლოდ დღეს მისგან თხოულობენ 3113 მ. აქ შემთხვევით ისარგებლეს ნაძირალებმა. ყრილობის გახსნამდის ათასნაირი ჭორები გაავრცელეს... სამწუხაროთ, ყრილობა ხელში ჩაიგდო ოთხმა ისეთმა პირმა, რომლებსაც საზოგადოება ძალიან ეჭვის თვალით უყურებდა დღემდის. ერთ მათგანს ამას წინათ ხალხი დასაჭერათ დასდევდა, ვითომ ყაჩაღობაში მონაწილეობისათვის.

ყველა ზემო მოყვანილი სიტყვები ამ 4 ვაჟბატონმა წამოისროლა. ამნაირათ, ყრილობაზე ობსტრუქცია მოახდინეს და არავის, ვინც გიმნაზიის მომხრე იყო, ლაპარაკის ნება არ მისცეს. ამ გარემოებას მით უმეტეს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ეს ვაჟბატონები ყველაფერ საქმეში, რომელიც შეეხება სწავლა-განათლებას, ხელს უშლიან საზოგადოებას.

ჯვარცხმაში სამინისტრო ორ-კლასიანი სკოლაა. სკოლის შენობა ცუდი, ვიწრო და უვარგისია. როდესაც ამ სკოლის შენობის გაფართოების შესახებ დაისვა კითხვა, ამ რამდენიმე ხნის წინათ, იმავე ვაჟბატონებმა ასტეხეს განგაში: „მასწავლებლები გვღუპავენ, იგინი თავისთვის ზრუნავენო“.

დადგება აგვისტო, მოჰყავთ შვილები. მსურველის ოთხმოცი, თავისუფალი ადგილი კი 15—20.

სამი მეოთხედი უოგველთვის შკოლას გარეშე რჩება. მართალია, ხალხი ძლიერ გაღარიბდა, მარა ეს კიდევ არ გვაძლევს სრულ საბუთს იმისას, რომ ვითომ კომლს ხუთი მანეთის გადახდა არ შეეძლოს. სწორეთ იმისთვის უნდა გავამრავლოთ შკოლები, რომ ხალხმა ასეთ გაჭირვებას თავი დააღწიოს. გლეხობა კიდევ ვერ დარწმუნდა, რომ მისი ასეთი დაქვეითების ბრალი მისი სიბნელეა. როდესაც გვალვაა, ის ეკლესიაში გარბის, პარაკლისის გადასახდელათ და ღმერთს ეხვეწება, რომ მან წვიმა გამოგზავნოს. მთელ გურიაში, არც ერთი მამასახლისი არ მოიპოვება ინტელიგენტი, რომ მან პასუხი გასცეს სხვა და სხვა უკანონო მოქმედებას. ხალხი ისევ ჩავარდა „მოსე მწერლების“ ხელში. ისინი გვარიანი გაუნათლებელი ხალხია. მხოლოთ ქრთამების აღებაში, ხალხის აწიოკებაში ჩვენი მამასახლისების და მწერლების უშრავლესობა გოგოლის „გოროდნიჩს“ არ ჩამოუვარდებიან. აკრებული სოფლის ფულები იფლანგება, პასუხის გამცემი არავინაა. შკოლები უყურადღებოთ არიან დატოვებულნი. თითქმის არსად არ მოიპოვება სოფელში სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მთელი გურიის სოფლები რომ დაიარო, ვერსად ვერ იპოვი ხეირიან სათეატრო დარბაზს.

ხალხი ჩავარდა ვაჭრების და მღვდლების ხელში. ვერც ერთ ცენტრში ვერ ნახავ კოოპერატივს. სამაგიეროთ, ვაჭრები მრავლდებიან, როგორც სოკო წვიმის შემდეგ. ათი წლის წინეთ რომ ვაჭარი თითებ გამაგდებული დადიოდა დღეს მას ათი ათასობით აქვს. მარტო სამღვდელოებას გურიის ხალხი დრამა ფულის და სხვა გადასახადის სახით აძლევს 70,000 მან., მაშინ, როდესაც იგივე სამღვდელოება ხაზინიდან იღებს დახმარებას დაახლოვებით 58,000 მანეთს.

და აი, ამ დროს გლეხობას არ ჰყავს თავისი ინტელიგენცია, რომელმაც გაჭირვების დროს უნდა უშველოს მას. ყველამ კარგათ იცის, რომ დღეს ხალხი შიმშილს განიცდის. ცალი მხრით ეს რეაქციის ბრალია, მეორე მხრით კი გაუნათლებლობის. გლეხობა მაშინ დააღწევს გაჭირვებას თავს, როდესაც თხემლას მაგიერ მოაშენებს თხილს, ბალს, თუთას და სხვა ასეთ სასარგებლო მცენარეებს, როდესაც უწვიმობის დროს პარაკლისის მაგიერ მოსარწყავ არხებს გაიყვანს მდინარეებიდან, სადაც ეს შესაძლებელია და სახნავ-სათესს მიწას მორწყავს და სხვა...

დღეს გურული ხალხი გაფანტულია მთელ ტერიტორიაზე. სახლები ნახევარ და თითო ვერსზე დაშორებულია ერთმანეთზე. ბავშვებს 5—6 ვერსის მანძილზე უწევთ სკოლაში სიარული. პატარა—სუსტი არსებისათვის ეს საძნელოა. გზებზე კი ყელამდე ტალახი სდგას. გზების გაკეთებას კი არავინ ცდილობს.

როდესაც ტოლმაჩევი გურიის გენერალ-გუბერნატორათ დანიშნეს, მან უმაღლეს მთავრობას მოხსენება წარუდგინა და თან აუარებელი ფული მოითხოვა გურიის დასაშოშმანებლათ: „ყველა ამისთვის საჭიროა ფული, ფული და კიდევ ფულიო“.

მე კი ვიტყოდი: ხალხმა რომ თავი დააღწიოს ზემო ჩამოთვლილ გაჭირვებას და თანდათანობით თავის მდგომარეობა გააუმჯობესოს, ამისთვის საჭიროა სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა, მხოლოდ უკანასკნელის მოსაწყობათ ფული. იყო ისეთი დრო, როდესაც გიმნაზიის გახსნის ნებართვას გურია ვერ ეღირსებოდა, თუ გინდ ორასი ათასი მანეთიც წარუდგინა. დღეს უკეთესი დრო დაგვიდგა. ჩვენ ამაზე შორსაც უნდა წავიდეთ და ამ ცოტა ხანში უნდა შევეცადოთ, რომ გურიაში ორი საშუალო სასწავლებლები კიდევ გავხსნათ ჩოხატაურში და ლანჩხუთში. გურიაში დღეს ითვლება არა ნაკლები ოცი ათასი კომლისა. თითოეულ ოჯახში იციან საუდრის დღესასწაული (გურიაში 130 ეკლესიაზე მეტია) ზოგან მთავარ ანგელოზობა, ზოგან ფერისცვალება, გიორგობა, მარიობა და სხვა და სხვა. თითოეული ოჯახი მოხსენებულ დღეებს ეწევა ჩვეულებრივ ხარჯს გარდა, არა ჩვეულებრივ ხარჯებს. უდარიბეს ოჯახში ასეთი ხარჯი არის არა ნაკლებ ხუთი მანეთისა. მაშასადამე, გურულებმა რომ გამოიჩინონ მოქალაქეობრიობა და სამ წელიწადს თავი შეიკავონ ასეთი დღესასწაულებიდან, ასეთ მომჭირნეობას მოჰყვება ის, რომ გურიაში გვექნება სამი საშუალო სასწავლებელი.

რაც შეეხება იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ხელს გვიშლიან კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებების მოწყობაში, ჩვენ შეგვიძლია მათზე მოვახდინოთ ზნეობრივი გავლენა, თუ ეს არ გასჭრის, ხალხს უნდა დავუმტკიცოთ მათი ზნეობრივი სიწამხდრე. და განა ძნელია მათ მიერ შეთხზული ჭორების უსაფუძვლობის დამტკიცება.

რეალური გიმნაზიის გახსნა დღეს პირველი საქმეა გურიაში. მას გურული ხალხის უმრავლესობა ემხრობა.

—ასეთივე ვაჟბატონების წყალობით ბასილეთის და ფარცხმის საზოგადოებებმაც უარი სთქვეს და დაპირება უკან წაიღეს. ფარცხმელები ამბობენ, თუ ჩოხატაურში გახსნიან გიმნაზიას, მაშინ ჩვენ ჩვენ ქონებას გავყიდით და შენობას ისე ავაშენებთო. მე ეს მართალი არ მგონია; აღბათ, ფარცხმელებს სცხვენიათ უარის თქმის და ამით იმართლებენ თავს. სასურველია ამ საზოგადოებებში ხელახლა იქნან მოწვეული ყრილობები, რომლებსაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ ოზურგეთიდან გიმნაზიის საამშენებლო კომისიის წევრები.

კრ—ძე.

# კორესპონდენციები

**გორი**. ამ წლის მაისის შუა რიცხვებში აქ შესდგა სცენის-მოყვარეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან გორის რკინის გზის სადგურის და ნავთის-საყვანის მოსამსახურენი. ამ ჯგუფმა დიდი ვაივაგლახით დაიქირავა შენობა სადგურის მახლობლათ და შეუდგენ წარმოდგენების მართვას. პირველი წარმოდგენა დადგეს 31 მაისს—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. შემოსავალი იყო 29 მანეთი. მეორეხელ, 13 ივნისს „ოინბაზი“ და „ორი მშიერი“ და რუსულათ „А и Ф“. შემოსავალი 27 მან. და 70 კაპ. იყო; მესამეხელ, 28 ივნისს „პეპო“ და რუსულათ „მოდნი დოკტორ“, შემოსავალი 35 მან. 40 კ.; მეოთხეხელ, 19 ივლისს, „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და „გაცრუებული იმედი“, შემოსავალი 23 მან. 20 კაპ.; მეხუთეჯერ, 26 ივლისს, თფილისელი არტისტის მატარაძის მონაწილეობით დადგეს გუნიას ცნობილი დრამა „და-ძმა“, შემოსავალი 29 მან. 5 კაპ. და ორი აგვისტოსათვის განზრახულია დასადგმელათ „არსენა“, თუ რაიმე მათგან დამოუკიდებელმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი. ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენი იყო, ყველა წარმოდგენაზე 40—10 კაპ. აქ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი, ძალიან ბევრი დასწრების მსურველნი, თეატრში უადგილობის გამო, გულდაწყვეტილი სახლში დაბრუნდენ; ნაქირავები თეატრისათვის შენობა იტევს 120—140 კაცს. ყველა წარმოდგენაზე წესიერებას მშვენივრათ იცავდენ თვით მოთავენი, მხოლოდ უკანასკნელ წარმოდგენაზე ცოტა წესიერება თვით ადგილობრივმა სადგურის წესიერების დამცველებმა დაარღვიეს. იმათ ძალიან გაუკვირდათ თოფის სროლა მათდა ნებადაურთველათ, თუმცა ადგილობრივი პოლიცია პოლიცელების „ნარიადით“ იქვე იდგა; მაგრამ არ იქნა და არა მისი დაჯერება, რომ ადგილობრივ პოლიციას უფლება აქვს თავის საზღვრებში ნება დართოს სცენაზე თოფის სროლის; დაგვემუქრენ წარმოდგენების აკრძალვას. წარმოდგენისაგან შემოსული ფულით გაისტუმრეს სახლის ქირა, იყიდეს საჯდომები, მშვენივრადვე მოაწყვეს სცენა და შეიძინეს რამოდენიმე სცენის მოწყობილობა; ამ დღეებში ფიქრობენ შუამდგომლობის აღძვრას სათანადო მთავრობის წინაშე ამ თეატრთან სამკითხველოს გახსნის შესახებ. თუ ამას სჩადის ერთი მუჭა რკინის გზის მოსამსახურენი, ამ დროს გორის ინტელიგენციას და ქალაქის მამებს სძინავთ, სძინავთ და ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს მგონი; მათ არ აინტერესებთ ბიბლიოთეკის და თეატრის საკითხები, არც ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, სხედან წელამდე ნეხვში და იქექებიან წიწილებიან კრუხებივით.

ნეტავი როდის იქნება ის ბედნიერი წამი, როცა ჩვენი „თავი“ გამოიღვიძებს?!

გამვლელი

**იანეთი** (იმერეთი). კარგა ხანია, რაც აქ ბ. ნ. ნიკოლაძის მეთაურობით გამოიყვანეს ცხენი-წყლის არხები, რომელზედაც ხალხმა დიდი შრომა გასწია. არხები გამოიყვანეს ხონიდან. ჯერ წყლით არ ესარგებლა ხალხს და გადასახადები კი ბევრი და უწესრიგოთ გააწერეს: ნახევარი ქცევის პატრონს ოთხი ქცევის სარწყავი შეაწერეს, რაიც ხალხისთვის მეტათ ძნელი და გასაოცარი შეიქნა. ასეთმა დიდმა გადასახადმა ხალხი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ წყლით სარგებლობაზე უარი სთქვეს. მაშინდელ მირაბოს და მემამულე ქეიშვილსაც ეს უნდოდა თურმე, ხალხის ნაამაგარი, გამოყვანილი წყალი—არ ვიცით რა უფლებით—ქეიშვილს მიჰყიდეს 250 მანეთად და ამნაირათ, ქეიშვილმა დაისაკუთრა წყალი. იანეთში 350 კომლი მცხოვრებია, თითოეულმა ფულათ თუ მუშაობით დახარჯა ათ მანეთამდე, რაიც შეადგენს 3500 მანეთს. ასეთი ძვირფასი და სოფლისათვის აუცილებელი საჭირო წყალი ქეიშვილმა იყიდა წისქვილისათვის. ხუთი არხი წყალი შუა იანეთში მოჩხრიალობს, სარგებლობს ქეიშვილი და ხალხი კი მთელი ზაფხული უწყლოთ არის მიტოვებული. ამას წინათ ხალხმა სთხოვა მირაბოს ერთი არხი წყალი მაინც მოგვეციო, მირაბი ჯერ დაჰპირდა. მოვიდა ადგილობრივ იანეთში თავის რჩევის წევრებით, ხალხს ეგონა გვეშველაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბ. მირაბი თავის ამალით ბ. ქეიშვილსაც ეწვია, იქ ძველებურათ, ჩვეულებურათ ისიამოვნეს... შემდეგ გადმობრძანდენ და ხალხს გამოუცხადეს ქეიშვილს ვერ წავართმევთ წყალსო, სთხოვეთ გიდრავლიკს და თუ მოგცემენ მე არ გიშლითო. საკვირველია ღმერთმანი. ის უფლება თუ ქონდათ, რომ 350 კომლისათვის წყალი წაერთმიათ და ქეიშვილისათვის მიეცათ, ის კი არ შეუძლიათ, რომ ხალხის ნაღვაწ-ნაშრომი ხუთი არხი წყალდანი ერთი არხი ხალხს დაუბრუნონ? სანამდე უნდა იქნეს ხალხი ასე დაჩაგრული?

უსაქმოთ დარჩენილ „სტრაჟნიკებს“ (არ იფიქროთ უჯამაგიროთ) რადგან მეტი საქმე არა აქვთ ნადირობას მიჰყვენ ხელი. ამას წინათ ილარიონ შილაკაძეს მოპარეს ცხენი, მაძებრათ ისევ „სტრაჟნიკი“ გაუდგა კვალს და ცხენი და სტრაჟნიკი კი ერთად იპოვნეს ქობულეთში.

ისევ ის ვარ.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთ „ჩანგის“ № 20 მეთაურში არჩევთ რა თფილისის ქალაქის მართველობის მოქმედებას, სხვათა შორის ეხებით „შრომის ბირჟასაც“. ნება მიბოძეთ ამაზე ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, რათა მკითხველმა საზოგადოებამ ნამდვილი აზრი შეადგინოს იმაზე, თუ, ამ ჟამათ რას წარმოადგენს ეს დაწესებულება ან მომავალში რა მიმართულებას ადგანან მისი სულის ჩამდგმელნი.

„შრომის ბირჟას“ დაარსებას მიზნათ აქვს: შუამდგომლობა გაუწიოს მშრომელთ და დამქირავებელთ, მოაწესრიგოს მათ შორის ურთიერთობა, ცნობები შეკრიბოს უმუშევართა შესახებ, თვალ-ყური ადევნოს ყველა დარგის წარმოებას, გახსნას უმუშევართათვის თავშესაფარი, დააარსოს მუქთა სახაიები და იაფ-ფასიანი სასადილოები და სხ. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს წმინდა დემოკრატიული დაწესებულება „თავის შედგენილობასტატუტებით უვარგისი და გამოუსადეგარი“ არ უნდა იყოს, ყველა ამის განსახორციელებლათ საჭიროა ნივთიერი საშუალებანი და დრო. უცებ არაფერი კეთდება თანამედროვე სოციალურ პირობებში და ეს ახალი დაწესებულებაც უცებ ვერ გაათვალისწინებდა თავის მოქმედებას.

თფილისის „შრომის ბირჟა“ დაარსდა ამა წლის 15 მაისს. 2 ნახ. თვის განმავლობაში აქ ჩაეწერა 1500-მდე უმუშევარი. ადგილი იშოვნეს 327 კაცმა სხვა და სხვა პროფესიისამ, როგორც მავალ, ხელზე მოსამსახურეებმა, მეეზოვეებმა, ნოქრებმა და სხ. ამავე დანიშნულებას აქამდინ კერძო კანტორები ასრულებდენ, ხოლო თვითეულ შემთხვევაში უმუშევარს უნდა გადაეხადნა მათ სასარგებლოთ 50 კ.—1 მ. და დამქირავებელს 1—2 მ. ზემოთ მოყვანილი რიცხვები რომ მხედველობაში მივიღოთ, ბირჟამ ორი თვის განმავლობაში უმუშევარნი 800-მდინ მან. ხარჯს აცდინა, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში, მძიმე ტვირთად დააწვებოდა მათ. ეხლა თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ „შ. ბ.“ თანდათან აფართოვებს თავის მოქმედებას, უნდა ვიფიქროთ—მას ნდობა დაუმსახურებია საზოგადოების.

თქმა არ უნდა, ამით ვერ განისაზღვრება მისი მოქმედება, [illegible], რომელსაც უნდა მოჰყვეს მუდამ, შესამე... და გაიაროს იმ გზაზე, რომელსაც დიდი ხანია ადგია მგზავსი დაწესებულება დასავლეთ ევროპაში. ადვილათ შესაძლებელია, უკუღმართმა გარემოებამ შეაჩეროს ან სრულიად მოსპოს მისი არსებობა, მაგრამ რომ იგი არც ერთს წამს არ აუხვევს თავის წმინდა მოვალეობას—ხალხის სამსახურს, ამაში გთხოვთ ყველა დარწმუნდეს. ამიტომ ადრეულათ მიგვაჩნია „ჩანგის“ დასკვნა მის უვარგისობასა და გამოუსადეგრობაზე.

შრომის ბირჟის გამგე **ე. ხრამელაშვილი.**

# ე. ნინოშვილის ფონდი

გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ „ჯეჯილის“ რედაქციას ეგნატე ნინოშვილის ფონდის გასაძლიერებლათ შემდეგი შემოწირულებანი და გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი სია შემომწირველთა:

ათ-ათი შაური: ისიდორე ჯიჯიეიშვილი, ივლიანე სვანიძე; მელიტონ ეკოვა; ვ. კილარჯევი; ა. იაშვილი. ხუთ-ხუთი შაური: А. Мартиросянъ; ალექ. ვაჩეიშვილი; კირილე გოგოლიშვილი; ივანე ვაჩეიშვილი; კონსტანტინე ჩხაიძე; გიორგი სვანიძე; მაქსიმე მიქაძე; ივანე ეფრემიძე; ლუკა კვაჩანტირაძე; რაჟდენ მესხია; სტეფანე იოსებაშვილი; ფრიდონ ხარაბაძე; დომენტი ჩხაიძე; ლავრენ. უნაფქიშვილი თითო აბაზი: ბარნაბა დათუნაიშვილი; ალექსი კვანდელია; თედორე ახალაძე. სულ 6 მ. 60 კ. გამოსაგზავნი ფული 23 კ. დარჩა 6 მ. 37 კ. *)

ბათუმის თვითმართველობის მუშების მონდობილობით: **ა. იაშვილი, კონსტ. ჩხაიძე.**

*) ეს ფული—6 მან. 37 კ. მიიღო „ჩანგი“-ს რედაქციამ.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

### მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).


# განცხადებანი

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მაცრობოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—5)

# სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში**, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—12